



ქ. თბილისი

2025 წლის 10 სექტემბერი

შპს ჯე ტრეიდ

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	1
ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	2
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება ..	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	8

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ჯე ტრიდ“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯე ტრიდ“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ჯე ტრიდ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2024 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით. ხელმძღვანელობამ მარაგი აღრიცხა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურების მიზნით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ

გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნარგიზ პაიკიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-254786)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით

თბილისი, საქართველო

10 სექტემბერი 2025 წ.


გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ნარგიზ პაიკიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-254786)

შპს ბესტ აუდიტი -ს სახელით

თბილისი, საქართველო



10 სექტემბერი 2025 წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194				
ფინანსური მდგომარეობის უწყისი	შენიშვნა	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	8113221	3552344	160090
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	2271989	1706108	232565
მოთხოვნები პერსონალის მიმართ			0	0
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	2808293	4028872	10603295
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1991548	1754203	141
ჯამურად მიმდინარე აქტივები		15185051	11041526	10996091
ფიქსირებული აქტივები	6	32174	339845	0
არამატერიალური აქტივები	7	2078	2644	3211
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		34252	342489	3211
სულ აქტივები		15219303	11384015	1099303
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8	621867	575481	4684926
მიღებული ავანსები		11814	0	0
გადასახდელი გადასახადები		372397	486642	629612
გადასახდელი ხელფასი		67960	56820	326415
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1729167	28598	53859
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		2803205	1147541	5694812
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2803205	1147541	5694812
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	34000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12416098	10236474	5270489
სულ კაპიტალი		12416098	10236474	5304489
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15219303	11384015	10999303

დირექტორი:

21 აგვისტო 2025 წელი

ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

შენიშვნა 31.12.2024 წ. 31.12.2023 წ. 31.12.2022 წ.

აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები	3	8113221	3552344	160090
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	2271989	1706108	232565
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		0	0	0
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	2808293	4028872	10603295
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		1991548	1754203	141
ჯამურად მიმდინარე აქტივები		15185051	11041526	10996091
ფიქსირებული აქტივები	6	32174	339845	0
არამატერიალური აქტივები	7	2078	2644	3211
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		34252	342489	3211
სულ აქტივები		15219303	11384015	10999303

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან	8	621867	575481	4684926
მიღებული ავანსები		11814		0
გადასახდელი გადასახადები		372397	486642	629612
გადასახდელი ხელფასი		67960	56820	326415
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1729167	28598	53859
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		2803205	1147541	5694812
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2803205	1147541	5694812


საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		0	0	34000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12416098	10236474	5270489
სულ კაპიტალი		12416098	10236474	5304489
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15219303	11384015	10999303

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი



მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194			
სრული შემოსავლების ანგარიში			
სრული შემოსავლების ანგარიში	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები		156742841	167723612
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(149078150)	(157043041)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		7664691	10680572
სულ საოპერაციო შემოსავლები:		7664691	10680572
ხელფასი		(3950899)	(4867738)
ამორტიზაცია		(2640)	(1788)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(109417)	(133891)
საწარმოო ხარჯები		(1604606)	(920636)
სხვა ხარჯები		(1000)	0
სულ საოპერაციო ხარჯები:	9	(5668563)	(5924053)
საპროცენტო შემოსავლები		0	0
არასაოპერაციო მოგება		0	0
დადებითი საკურსო სხვაობები		1589190	978223
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		83529	62074
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	10	1672719	1040297
ფინანსური დანახარჯები		0	0
ძირითადი საშ. რეალიზაციის შედეგი		(17147)	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(1394974)	(830832)
კონვერტაციის ხარჯები		(77601)	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	11	(1489722)	(830832)
მოგება დაბეგვრამდე:		2179125	4965985
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		2179125	4965985
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:		0	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		2179125	4965985
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		2179125	4965985

დირექტორი:

21 აგვისტო 2025 წელი

ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194


სრული შემოსავლების ანგარიში

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194	შენიშ.	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები		156742841	167723612
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(149078150)	(157043041)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		7664691	10680572
სულ საოპერაციო შემოსავლები:		7664691	10680572
ხელფასი		(3950899)	(4867738)
ამორტიზაცია		(2640)	(1788)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(109417)	(133891)
საწარმოო ხარჯები		(1604606)	(920636)
სხვა ხარჯები		(1000)	0
სულ საოპერაციო ხარჯები:	9	(5668563)	(5924053)
საპროცენტო შემოსავლები		0	0
არასაოპერაციო მოგება/ძირით.საშ.		0	0
დადებითი საკურსო სხვაობები		1589190	978223
სხვა შემოსავლები		83529	62074
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	10	1672719	1040297
ფინანსური დანახარჯები		0	0
ძირით. საშუალ. რეალ. და არამატ. აქტ. გადა		(17147)	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(1394974)	(830832)
კონვერტაციის ხარჯი		(77601)	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	11	(1489722)	(830832)
მოგება დაბეგვრამდე:		2179125	4965985
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		2179125	4965985
გადაფასებიდან შემოსულობები ან			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსა		2179125	4965985
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსა		2179125	4965985

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

შპს ჯე ტრიდ, ს/ნ: 445580194		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12/31/2024	12/31/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	173679125	180320713
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	0	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(1259093)	(750555)
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(122952453)	(130950162)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1218880)	(4145703)
გადახდილი გადასახადები	(42729870)	(39534520)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(2776012)	(1580270)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	2742816	3359503
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მიღებული პროცენტები	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(17147)	(34000)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(17147)	(34000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	0	
გადახდილი დივიდენდები	0	0
სესხის აღება	1642986	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	0	(16285)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1642986	(16285)
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	192221	83036
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	4560877	3392254
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	3552344	160090
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	8113221	3552344

დირექტორი:

21 აგვისტო 2025 წელი

ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194

ფულადი ნაკადების ანგარიშგება


(საოპ. საქ. ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული	173679125	180320713
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	0	0
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(1259093)	(750555)
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახს	(122952453)	(130950162)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1218880)	(4145703)
გადახდილი გადასახადები	(42729870)	(39534520)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(2776012)	(1580270)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპ.	176467598	3359503
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტი	(17147)	
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან		(34000)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინ.	(17147.00)	(34000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების იმისიისაგან / აპ	0	0
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემებ	0	0
სესხების აღება	1642986	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო	0	(16285)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფ.	1642986	(16285)
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა /	192221	83036
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	4560877	3392254
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერი	3552344	160090
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერი	8113221	3552344

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

შპს ჯე ტრეიდ, ს/ნ: 445580194

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31.12.2024 წ. მდგომარეობით

შპს ჯე ტრეიდ 445580194				
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	საემისიო/ დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2024-თვის		0	10236474	10236474
საადრიცხო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი მირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში			2179125	2179125 0
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრულ	0	0	2179125	2179125
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან განაწილებული დივიდენდები სხვა ცვლილებები კაპიტალში				0 0
			499	
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		0	2179624	2179624
ნაშთი 01.01.2025-თვის		0	12416098	12416098

დირექტორი:

21 აგვისტო 2025 წელი

ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი


შპს ჯე ტრეიდ 445580194

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	საემისიო/ დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2024-თვის		0	10236474	10236474
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები				
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები				
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში			2179125	2179125 0
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოს	0	0	2179125	2179125
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან განაწილებული დივიდენდები სხვა ცვლილებები კაპიტალში				0 0
			499	
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები		0	2179624	2179624
ნაშთი 01.01.2025-თვის		0	12416098	12416098

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

21 აგვისტო 2025 წელი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯე ტრეიდ“ (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 2020 წლის 01 ივნისს, საიდენტიფიკაციო ნომერი 445580194, მარეგისტრირებული ორგანო-სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი-საქართველო, ბათუმი. მლერმონტოვის ქ. N76. მესაკუთრე: გიორგი გათენაძე(პ/ნ 61001074326)-100%. დირექტორები: გიორგი გათენაძე(პ/ნ 61001074326).

შპს „ჯე ტრეიდ“ ახორციელებს ნავთობ_პროდუქტების ვაჭრობას საბითუმო სახით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა მოხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა მოხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. საადრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

აუდიტის პერიოდში კომპანიას ბალანსზე არ ერიცხება ძირითადი საშუალები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორები დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან. მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება, უიმედო ვალებების არსებობისას, აისახება მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უფარვისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით“. მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებული უნდა იქნეს ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება მოხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა დაერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

როდესაც მოხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა მოხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეიტანება იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდება.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი 2024	31დეკემბერი 2023
ლარი/1აშშდოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1ევრო	2.9306	2.9753

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღება ნავარაუდევია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომელებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შენიშვნა 3 -ფულადი სახსრები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ლარები საბანკო ანგარიშებზე	4710784	3550994	160090
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	3402436	1350	0
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	8113221	3552344	160090
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	0	0	0
სულ ფულადი სახსრები	8113221	3552344	160090

შენიშვნა 4 - მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2271989	1706108	232565
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	559078		
საგადასახადო ზედმეტობა	0	0	0
სხვა მოთხოვნები	1432470	1754203	141
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	4263537	3460311	232706

შენიშვნა 5 -სასაქონლო მატერიალური მარაგები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
საქონელი	2519953	4028872	10603295
მზა პროდუქცია	0	0	0
მასალა და ნედლეული	288340	0	0
ჯამურად	2808293	4028872	10603295

შენიშვნა 8- კრედიტორული დავალიანება	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	621867	575481	4684926
გადასახდელი ხელფასები	67960	56820	326415
გადასახდელი გადასახადები	372397	486642	629612
მოკლევადიანი სესხები	1642986	0	0
მიღებული ავანსები	11814	0	0
სხვა ვალდებულებები	86181	28598	53859
სულ კრედიტორული დავალიანება	2803205	1147541	5694814

კომპანიას საწვავის შემენისათვის აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი უზრუნველყოფის გარეშე HAXEM TRADING DMCC -სგან 585359.27 აშშ დოლარის ოდენობით 20,10 % სარგებლით. სესხის პროცენტის და ძირის გადახდა დაწყებულია 2025 წლის თებერვლიდან. სესხის მიზნობრიობაა საწვავის შეძენა.

შენიშვნა -6				
ძირითადი საშუალებები	მანქანა- დანადგარე ბი	ავიჯი და სხვა ინვენტა რი	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	სულ
ნაშთი 01.01.2024	9 445	894	330 727	341 064
შეძენა	25 129	0	223 565	248 694
გასვლა	0	0	(554 292)	(554 292)
აფასება (გადაფასება)	0	0	0	0
ნაშთი 31.12.2024	34 574	894	0	35 468
ამორტიზაცია 31.12.2	(1 918)	(155)	0	(2 073)
აკუმულირებული ამ	(3 020)	(274)	0	(3 294)
ნარჩენი ღირებულებ	31 554	620	0	32 174

შენიშვნა 7- არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	საბუღალტრ ო პროგრამა და სასაწყობო პროგრამა	სულ
ნაშთი 01.01.2024	3 778	3 778
შეძენა	0	0
გასვლა	0	0
ნაშთი 31.12.2024	3 778	3 778
ამორტიზაცია 2024	(567)	(567)
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2024	(1 700)	(1 700)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2024	2 078	2 078

შენიშვნა 9- საოპერაციო ხარჯები	31/12/2024	31/12/2023
ხელფასის ხარჯები	3950899	4867738
საოფისე და სამეურნეო ხარჯები	8499	2031
საგადასახადო ხარჯები	1335	17135
საკანცელარიო საქონელი	1929	2150
ბანკის მომსახურების საკომისიო	20254	14538
იჯარის ხარჯი	25826	24832
ცვტა და ამორტიზაცია	2640	1788
დაზღვევის ხარჯი	450	0

მიწოდების ხარჯი	1604606	920636
მომსახურების ხარჯი	11435	60355
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯი	15000	15000
სულ საოპერაციო ხარჯები	5668563	5924053

შენიშვნა 10 - არასაოპერაციო შემოსავლები	31/12/2024	31/12/2023
დადებითი საკურსო შემოსავალი	1589190	978223
შემოსავლები ძირითადი საშ.რეალ	539000	0
სხვა შემოსავლები	83529	62074
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	2211719	1040297

შენიშვნა 11 - არასაოპერაციო ხარჯი	31/12/2024	31/12/2023
გაყიდული ძირითადი საშ.თვითღირებულება	556248	0
საკურსო უარყოფითი	1394974	830832
კონვერტაციის ხარჯი	77601	
სულ არასაოპერაციო ზარალი	2028823	830832

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

2024 წელი	
ფინანსური აქტივები	
მოკლევადიანი მოთხოვნები	4263537
ფული და ფულადი ექვივალენტები	81132331
გაცემული სესხები	
სულ ფინანსური აქტივები	12376757
ფინანსური ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	787822
გადასახდელი გადასახადები	372397
მოკლევადიანი სესხები	1642986
სულ ფინანსური ვალდებულებები	2803205

2023 წელი	
ფინანსური აქტივები	
მოკლევადიანი მოთხოვნები	3460311
ფული და ფულადი ექვივალენტები	3552344
გაცემული სესხები	0
სულ ფინანსური აქტივები	7012655
ფინანსური ვალდებულებები	
კრედიტორული დავალიანება	660899
გადასახდელი გადასახადები	486642
მოკლევადიანი სესხები სესხები	0
სულ ფინანსური ვალდებულებები	1147541

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე. ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს მომსახურების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
ფული და ექვივალენტები	8 113 221				8 113 221
მოკლევადიანი მოთხოვნები			4 263 537		4 263 537
გაცემული სესხები					0
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					0
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება			(787 822)		(787 822)
გადასახდელი გადასახადები	(372 397.00)				(372 397)
სესხები			(1 642 986)		(1 642 986)
ლიკვიდურობის პოზიცია	7 740 824	0	1 832 729		9 573 553

ლიკვიდურობის შედარებითი ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
აქტივები	3 თვეზე ნაკლები	3-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	5 წელზე მეტი	სულ მთლიანი თანხის გადინება
ფული და ექვივალენტები	3552344				3552344
მოკლევადიანი მოთხოვნები			3 460 311		3 460 311
გაცემული სესხები					0
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე					0
ვალდებულებები					
კრედიტორული დავალიანება			(660 899)		(660 899)
გადასახდელი გადასახადები	(486 642)				(486 642)
სესხები			0.00		0
ლიკვიდურობის პოზიცია					5 865 114

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სასამართლო დავები

2024 წლის განმავლობაში კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ)მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;
- (დ) კომპანიის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

გ.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლოა დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და

დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	2024	2023
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	3289833	4647707

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სურვილი განახორციელოს სრული სადაზღვევო დაფარვა თავის აქტივსა და თანამშრომლების ჯანმრთელობაზე.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

მმართველობითი ანგარიშგება

31 დეკემბერი 2024

შინაარსი:

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა	3
2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	3
3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა	4
4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	4
5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები	5
6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ	5
7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები.....	5

1. კომპანიის საქმიანობის განვითარება, წარმატება და მდგომარეობა

შპს ჯე ტრეიდ თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 01.06.2020 წლიდან. კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით საბითუმო რეალიზაცია და ნავთობპროდუქტების გემებიდან გადატვირთვის მომსახურება ბათუმის ნავთობტერმინალში. შპს ჯე ტრეიდ თავის ისტორიას 2020 წლიდან იწყებს. დღეს ის საქართველოს ბაზარზე ერთ ერთი ლიდერი კომპანიაა. ამ წარმატებისკენ მიმავალი გზა, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ქვეყნისთვის ყველაზე არამდგრად პერიოდზე გადიოდა, არ იყო მარტივი კომპანიისთვის, თუმცა პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებულმა კომპანიამ მოახერხა სტაბილურობის შენარჩუნება და განვითარებაზე ზრუნვა. ახლად დაფუძნებულმა კომპანიამ, დასაწყისშივე დაამკვიდრა მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტი, რაც გამოიხატა გემებისა და ტვირთების მოზიდვით ბათუმის ტერმინალში. ქვეყნის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მოცულობები და დღეს, ის აერთიანებს 13 კვალიფიციურ თანამშრომელს თბილისსა და ბათუმში, რომელიც ფარავს მთელ საქართველოს.

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

ჩვენი ამოცანაა ჩვენს მომხმარებელს გავუადვილოთ ცხოვრება ისეთი აჩქარებული რიტმის პირობებში, რომელიც 21-ე საუკუნეს ახასიათებს. მათი დროისა და ფინანსური რესურსის დაზოგვის მიზნით ჩვენი გუნდი მუდმივად ცდილობს შექმნას კიდევ უფრო მეტად მოქნილი სერვისი ტვირთის ტრანსპორტირებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების სწრაფად და ხარისხიანად მოსაგვარებლად. ეტაპობრივად ვაპირებთ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას და მათ პროფესიულ განვითარებას. მუდმივად ხორციელდება ავტოპარკის მფლობელებთან, ტერმინალებთან, რკინიგზასთან ოპტიმალურ პირობებზე შეთანხმება და კონტროლი ეფექტიან მომსახურებაზე. დაწყებულია მუშაობა პროექტზე, რომლის თანახმადაც, უახლოეს პერიოდში, ვგეგმავთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაზის მართვას თბილისში, ქობულეთში და ბათუმში, რომელიც ერთ დიდ სივრცეში, თავს მოუყრის კომპანიის ყველა დეპარტამენტს საბაჟო-საბროკერო და სასაწყობო-სატერმინალო ლოკაციების ჩათვლით და საშუალებას მოგვცემს ლოგისტიკის მთლიანი ციკლის საწვავის გემებით შემოტანიდან ქსელში

განაწილების ჩათვლის მოვახდინოთ სერვისის აუტოსორსინგით შეთავაზება, რაც დისტრიბუტორ კომპანიებს კიდევ უფრო გაუადვილებს მუშაობას.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად, ერთგვარი ჰაბის ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის, არამედ როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის, ასევე ჩრდილოეთის და სამხრეთის ქვეყნების ტვირთების გადაზიდვაში. ცხადია, ამ კუთხით საქართველოს გეოეკონომიკური როლი უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ისტორიული „აბრეშუმის გზის“ სატრანზიტო დერეფანში, მნიშვნელოვნად გააქტიურდა ტვირთების ნაკადი. ჩვენს ქვეყანას აქვს შესაძლებლობა, საკვანძო ფუნქცია შეასრულოს და მაქსიმალურად აითვისოს აღნიშნული დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები. ქვეყნის ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის ტვირთის ოპტიმალური ლოგისტიკის ორგანიზებაში ჩართულობა და ამით, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანა, ჩვენი კომპანიის უმთავრესი ამოცანაა.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია 2022 წლის ბოლოსთვის ფლობდა სათაო ოფისს ბათუმში, რომელიც უშუალოდ ახდენდა კოორდინირებას ტერმინალებთან და სატრანსპორტო კომპანიებთან, იმისათვის რომ უზრუნველყოფილიყო ტვირთის უსაფრთხო დამუშავება და ქვეყნის მასშტაბით მიწოდება, კლიენტების მოთხოვნის შესაბამისად.

5. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორები (ქართულ ლარში)

2023 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	მოც. პერიოდის მოგება/ზარალი
12	167 723 612	11384015	4 965 985
2024 წელი			
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება	მოც. პერიოდის მოგება/ზარალი
13	156 742 841	15219303	2 179 125

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

კომპანიას საკუთარი აქციები არ გააჩნია.

7. კომპანიის მთავარი რისკები და მართვის მექანიზმები

ქარხნიდან გემების მეშვეობით ხდება ტვირთის შემოტანა ბათუმის ნავთობ ტერმინალში სადაც შემდგომი გადატვირთვა ხორციელდება სარკინიგზო ან საავტომობილო ტრანსპორტში. საბოლოოდ ტვირთი მიეწოდება როგორც საქართველოში მდებარე აგს-ბს ასევე ხორციელდება ტრანზიტული გადაზიდვა აზერბაიჯანის მიმართულებით.

ქვეყნის ლოგისტიკური კორიდორის პოტენციალის სრულად ასათვისებლად, აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და კონკურენტული გარემოს ფორმირება. ჩვენი კომპანიის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სატრანსპორტო კონფერენციებში და ბაზრის მონაწილეებს აცნობენ, როგორც რეგიონულ პრობლემატურ საკითხებს, რომელიც გადაჭრაც მნიშვნელოვანია ეფექტიანი საქმისწარმოებისათვის, აგრეთვე პოტენციალს, რომელიც უფრო კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოში ბიზნესის წარმოებას.

ჩვენი მიზანია, მომხმარებელი ჩვენს კომპანიას აღიქვამდეს, როგორც ლიდერ და პროფესიონალ კომპანია, რომელიც მუდმივად ზრუნავს განვითარებაზე და ოპტიმალური სამუშაო გარემოს ორგანიზებაზე.

დირექტორი: გიორგი გათენაძე

თარიღი: 31 დეკემბერი 2024 წ.

